საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/18

ქ. ბათუმი 04 **მარტი, 2022 წ.**

ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 09 სექტემბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბსუ-ს შინაგანაწესის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ,, ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის №01-10/97 ბრძანების, ,, ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის №01-10/97 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 თებერვლის №01-10/14 ბრძანების, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები ბსუ-ს სტუდენტებისათვის ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობისთვის შეღავათის დაწესების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 01 აპრილის №07-01/17 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერის თემურ გოგიტიძის 2022 წლის 04 მარტის MES 7 22 0000226611 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განისაზღვროს ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15) ფართით სარგებლობის საფასური წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 25 ივლისის №01-10/97 ბრძანება.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,სტუდენტის გზამკვლევი“).
4. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საერთო საცხოვრებლის მენეჯერს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **იაკინთე ჩხარტიშვილი**

„ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 04 მარტის N 01-1078 ბრძანების

დანართი 1

1. ბსუ-ს სარგებლობაში არსებული **საერთო საცხოვრებლის შენობის** (ბსუ-ს N7 კორპუსი, მდებარე ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15) ფართით სარგებლობის საფასური (გადასახდელი) განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) ბსუ-ს სტუდენტისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის - თვეში 100 ლარი;
ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ბსუ-ს სტუდენტებისათვის - თვეში 100 აშშ დოლარი (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში);
გ) სხვა პირთათვის/ბსუ-ს სტუმრებისათვის - **თვეში 100 აშშ დოლარი** (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), ხოლო **ერთი დღის – 20 ლარი.**

2. ბსუ-ს სტუდენტისათვის (მხოლოდ საბაკალავროს საფეხურზე), რომელიც 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრში სარგებლობდა ბსუ-ს საერთო საცხოვრებლით (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15) - **თვეში 50 ლარი,** თუკი უფრო ნაკლები ოდენობით სარგებლობის საფასურის გადახდას არ დაექვემდებარება წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტის მიხედვით.

3. ბსუ-ს სტუდენტისათვის/პროფესიული სტუდენტისათვის საერთო საცხოვრებლით სარგებლობისათვის დაწესდეს შეღავათები **შემდეგნაირად:**

N	**შეღავათის კატეგორიის დასახელება/სტატუსი**	**შეღავათის პროცენტული ოდენობა (%)**
1		50
2	სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი (10 000 -დან 70000 ქულამდე)	50
3	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი	50
4	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათის ბრძოლაში დაღუპულის ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის შვილი ან საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შვილი	50
5	და ან/და ძმა არის ბსუ-ს სტუდენტი და ცხოვრობს ბსუ-ს საერთო საცხოვრებელში	50
6	სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი (10 000 და ნაკლები)	70

7	მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი - 91 ქულა და ზევით	80
8	ბსუ-ს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან	90
9	მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტი (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილი)	100

4. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული შეღავათის რამდენიმე კატეგორიის არსებობის შემთხვევაში, საერთო საცხოვრებლის მოსარგებლეზე გავრცელდება ყველაზე დაბალი სარგებლობის საფასურის განმსაზღვრელი შეღავათი.

5. საერთო საცხოვრებლის სარგებლობის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებულია გადაიხადოს დადგენილი საფასური სარგებლობის დღეთა რაოდენობის შესაბამისად.